ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0324256111-03
თარიღი: 12.09.2024 15:32
ვადა: 15.10.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01242562382 განცხადების თარიღი: 12.09.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

დადგენილებების პროექტის გაგზავნა

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0324256111-03
12.09.2024 : 15:32
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01242562382**
თარიღი: **12/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აგრეთვე ზემოაღნიშნული პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 სექტემბრის №24.1550.1751 განკარგულებას.

დანართი: RAR–ის ერთი ფაილი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.1550.1751
12 / სექტემბერი / 2024 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2024 წლის ------ ---------- ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების:

1 . მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „რ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ[1]) მარშალ გელოვანის გამზირ №4-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №2 სამსახური;“.

2. მე-8 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „თ“ ქვეპუნქტი;

ბ) მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის ან სხვა კანონით განსაზღვრული მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებში დაფიქსირებული ან დაარქივებული ვიდეოჩანაწერის ან/და ფოტოფირის გაცემის უზრუნველყოფა;“;

გ) მე-10 პუნქტს, „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში მონიტორინგის გაწევის მიზნით ტაქსის აპლიკაციებით გამოძახება და შემოწმება, აპლიკაციაში დაფიქსირებული მონაცემების (ე.წ. „სქრინის“) დადგენილი წესით შენახვა შემდგომში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადასტურების მიზნით, აღნიშნული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით სააგენტოს უფლებამოსილი სტრუქტურულ ერთეულთან ერთად რეაგირება, ასევე ავანსის სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტიდან სააგენტოსთვის გამოყოფილი ფულადი რესურსით ტაქსით მგზავრობა სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით;“;

დ) მე-10 პუნქტს, „ვ^1“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^2“ და „ვ^3“ ქვეპუნქტები:

„ვ^2) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 და 135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ბურთულიანი კალმით შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტების, ზემოაღნიშნული მუხლებით სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;

ვ^3) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 და 135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბურთულიანი კალმით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;“;

ე) მე-11 პუნქტს, „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^1“ ქვეპუნქტი:

„ე^1) ცალკეული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხებზე დასკვნების და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება;“;

ვ) მე-12 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „დ“ ქვეპუნქტი;

ზ) მე-15 პუნქტს:

ზ.ა) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ^1“ ქვეპუნქტი:

გ^1) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბურთულიანი კალმით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;“;

ზ.ბ) „თ[2]“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[3]“ ქვეპუნქტი:

„თ[3]) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე–135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დასაფიქსირებლად ვიდეოკამერების ექსპლუატაციაზე სააგენტოს უფროსის მიერ განსაზღვრული ამავე სამსახურის თანამშრომლის მიერ მონიტორინგის უზრუნველყოფა;“;

თ) მე-15 პუნქტის:

თ.ა) „ა[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა[1]) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის გაწევისას უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ აპლიკაციაში დაფიქსირებული მონაცემების (ე.წ. „სქრინის“) მიღება და მის შესაბამის ბაზაში გადამოწმება, გამოვლენილი სამართალდარღვევისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა, ასევე ამ ფუნქციის განხორციელების მიზნით საავანსო თანხების გაცემის მოთხოვნა და საავანსო თანხებზე საჭირო ქმედებების განხორციელება;“;

თ.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე–135[5] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ბურთულიანი კალმით შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტების, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;“;

ი) მე-16 პუნქტს, „გ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[2]“ და „გ[3]“ ქვეპუნქტები:

„გ[2]) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ბურთულიანი კალმით შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტების, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;

გ[3]) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბურთულიანი კალმით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;“;

კ) 17^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17^1. მარშალ გელოვანის გამზირ №4-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №2 სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) აღნიშნულ მისამართზე მდებარე სააგენტოს სპეციალური დაცული სადგომის 24/7 ფუნქციონირებაზე, მოვლასა და შენახვაზე კონტროლი და აღნიშნულის ფუნქციის განსახორციელებლად შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა;

ბ) აღნიშნულ მისამართზე მდებარე სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების მიღება; სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების მის მესაკუთრისთვის/მფლობელისთვის დაბრუნება თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ან მინდობილობის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისთანავე და ამ დოკუმენტების შენახვა;

გ) თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდაზე კონტროლი და ამ ინფორმაციის ასახვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის ელექტრონულ სისტემაში;

დ) აღნიშნულ მისამართზე მდებარე სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ სათანადო ინფორმაციის ასახვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის ელექტრონულ სისტემაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.“;

ლ) მე-18 პუნქტს, „$გ^2$“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^3$“ და „$გ^4$“ ქვეპუნქტები:

„$გ^3$) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილით (როდესაც სამართალდარღვევა ჩადენილია M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებით), 135-ე–135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^5 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ბურთულიანი კალმით შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტების, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;

$გ^4$) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილით (როდესაც სამართალდარღვევა ჩადენილია M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებით), 135-ე–135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^5 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბურთულიანი კალმით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;“;

მ) მე-19 პუნქტს, „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}“ და „ე^{2}“ ქვეპუნქტები:

„ე^{1}) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^{1} მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;

„ე^{2}) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^{1} მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბურთულიანი კალმით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;“;

ნ) მე-20 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^{4} მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბურთულიანი კალმით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;“;

ო) მე-20 პუნქტს, „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ^{1}“ ქვეპუნქტი:

„მ^{1}) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^{4} მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ბურთულიანი კალმით შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტების, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „რ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია გელოვანის გამზირზე მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №2 სამსახური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 22 აგვისტოს №61-01242351269 წერილი, რომლის მიხედვით სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2024 წლის 21 აგვისტოს მომზადებული ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: 892024228791) გათვალისწინებით, N01.10.11.001.468 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას მიენიჭა შემდეგი მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნულ წერილს ერთვის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 15 აგვისტოს #M24013273/3 (15/08/2024 15:07:55) გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის მიხედვით „მისამართი: ქ. თბილისი, გელოვანის გამზირი, საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.468, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N4.“. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებებია შესატანი სააგენტოს დებულებაში.

სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ფუნქციური ზონის ცვლილების და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საკითხებში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი რეკომენდაციების ან/და დასკვნების მომზადება. ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვისა და კონტროლის ზემოთ დასახელებული ფუნქციის თემატური/შინაარსობრივი სიახლოვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ცალკეული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხებზე დასკვნების და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადების უფლებამოსილება, ნაცვლად ქალაქგეგმარებითი პოზიციების სამსახურისა, მიენიჭოს სპეციალური (ზონალური) შეთანხმებების სამსახურს.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134[1] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილების

(შემდგომში - №57-52 დადგენილება) შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მინიჭებული აქვს:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა), 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, აგრეთვე უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირის სამგზავრო პლასტიკური ბარათის დაბლოკვის ან გადახდის სხვა საშუალების უფასო ან შეღავათით მგზავრობის ფუნქციის დაბლოკვის უფლებამოსილება;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, **135**-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის უფლებამოსილება.

ამასთან ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ბურთულიანი კალმით ან ელექტრონული ფორმით ადგენს/გამოწერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომელი, ხოლო მე-9 მუხლის შესაბამისად სააგენტო საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების (გარდა ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა) გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის მოთხოვნათა დაცვით. №57-52 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე/გამოწერაზე უფლებამოსილ თანამშრომელზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემა ხორციელდება სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ. სააგენტოს მოქმედი დებულებით ეს უფლებამოსილება განსაზღვრულია სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურზე და დროში სწრაფად განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია ეს უფლებამოსილება გადაეცეთ საჯარიმო ქვითრების შემდგენ სამსახურებს, ასევე მიზანშეწონილია ამავე სამსახურების მიერ შედგენილ საჯარიმო ქვითრებზე – ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმებზე (ელექტრონულის გარდა) სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა. ასევე პროექტის მიხედვით ხდება მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის გაწევის მექანიზმების გაწერა დეტალურად.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

ამ განმარტებითი ბარათის „ა.ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების შეცვლა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2024 წლის 21 აგვისტოს მომზადებული ამონაწერის საფუძველზე;

- ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვისა და კონტროლის სააგენტოს ფუნქციის თემატური/შინაარსობრივი სიახლოვიდან გამომდინარე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის

შესაბამისი უფლებამოსილების სპეციალური (ზონალური) შეთანხმებების სამსახურისთვის მინიჭება ნაცვლად ქალაქგეგმარებითი პოზიციების სამსახურისა;

- სააგენტოს საჯარიმო ქვითრების შემდგენმა სამსახურებმა დროში სწრაფად განხორციელების მიზნით თავად აწარმოონ №57-52 დადგენილებით განსაზღვრული ჟურნალი.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისთვის, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილებათა გადანაწილება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.